ევროკავშირი საქართველოსთვის

საშუალო და მსხვილი ბიზნეს გრანტების კონკურსის ფარგლებში შემოსული კითხვები და პასუხები



ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC) და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი (SGRC) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

The Hague Academy for local governance

IRC Innovations and reforms Center

SGRC

თანამონაწილეობის თანხა დაანგარიშდება მოთხოვნილი თანხიდან თუ მთლიანი ბიუჯეტიდან?

სავალდებულო თანამონაწილეობის თანხა დაანგარიშდება შემდეგი გზით - გრანტის სახით მოთხოვნილ თანხას + გრანტის სახით მოთხოვნილი თანხა * სავალდებულო თანამონაწილეობის პროცენტზე.

გათავისუფლებული არის თუ არა საგრანტო თანხა დღგ-სგან?

საგრანტო კონკურსის ფარგლებში გაცემული გრანტი არ არის გათავისუფლებული დღგ-სგან; შესაბამისად, ყველა ღირებულება დაანგარიშებული უნდა იყოს დღგ-ს ჩათვლით.

მინდა დანადგარის საზღვარგარეთიდან შეძენა, და ხარჯთაღრიცხვისთვის რამდენად მისაღებია მომწოდებელთან მიმოწერის წარმოდგენა?

მისაღებია ნებისმიერი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია შესასყიდი დანადგარის ძირითადი მახასიათებლები და ფასი. შესაბამისად, თუ მომწოდებელთან მიმოწერა შეიცავს ამ მახასიათებლებს, შესაძლებელია მისი წარმოდგენა.

ფინანსური გათვლები ბიზნეს გეგმაში რამდენ წლიანი უნდა იყოს?

გთხოვთ, ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად გაეცნოთ განაცხადის ფორმას, სადაც მოცემულია ფინანსური პროგნოზების შესახებ ინფორმაცია.

აუცილებელია რომ რაჭაში იყოს ფიზიკური პირი ჩაწერილი ვინც მონაწილეობას მიიღებს?

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ფიზიკური პირის რეგისტრაცია არ არის სავალდებულო პირობა, თუმცა, განმცხადებელს მოეთხოვება, დადასტურებული მჭიდრო კავშირი ჰქონდეს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარესთან, რაც განმცხადებლემა უნდა აღწეროს განაცხადის შესაბამის ველში.

ძირითად საშუალებებთან მიმართებით თუ მომსახურებაც იქნება საჭირო,რამდენად მოიცავს მომსახურების დაფინანსებას საგრანტო თანხა?

მომსახურება, რომელიც საჭიროა ძირითადი საშუალების შესაქმნელად, შეიძლება გათვალისწინებული იყოს ბიუჯეტში.

თანამონაწილეობის თანხა თუ მეტი იქნება ვიდრო კონკურსის პირობებითაა განსაზღვრული, თუ მექნება რაიმე უპირატესობა კონკურსში მონაწილეობისას?

დამატებითი თანამონაწილეობის წარმოდგენა არ აძლევს განმცხადებელს რაიმე უპირატესობას მისი განაცხადის შეფასებისას.

სულ რამდენ პროექტს დააფინანსებს გამოცხადებული საგრანტო კონკურსები?

მსხვილი ბიზნეს გრანტების კონკურსის ფარგლებში მოაზრებულია 5-7 პროექტის დაფინანსება, ხოლო საშუალო ბიზნეს გრანტების კონკურსის ფარგლებში - 15-30 პროექტის.

რა იგულისხმება ინოვაციურ პროექტებში, თუ შეგიძლიათ რომ მაგალითის სახით გვითხრათ, სხვა რეგიონების მაგალითზე?

ინოვაციურად მიიჩნევა ისეთი პროექტი, რომელიც წარმოადგენს სიახლეს სოფლისთვის/ თემისთვის/მუნიციპალიტეტისთვის/ რეგიონისთვის ან ქვეყნისთვის და იმავდროულად აქვს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში მდგრადი განვითარების პერსპექტივა.

სპეციფიური დანადგარის ფიზიკური პირისგან ან საზღვარგარეთიდან შესყიდვა/გამოწერა თუ არის ნებადართული?

დიახ, ნებადართულია, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერ შესყიდვასთან დაკავშირებით პროექტის განმახორციელებელს წარმოსადგენი ექნება შესყიდვასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

განმცხადებლის ბრუნვა ერთი წლის განმავლობაში 300 000 ლარს არ უნდა სცდებოდეს; ხომ სწორად მესმის?

ეს მოთხოვნა განსხვავდება საშუალო და მსხვილი ბიზნეს გრანტების კონკურსებში. მსხვილი ბიზნეს გრანტების კონკურსში იურიდიული პირისთვის დაშვებადობის ერთ-ერთი კრიტერიუმია ის, რომ მისი წლიური ბრუნვა ბოლო ორი წლის განმავლობაში არ უნდა აჭარბებდეს 300 000 ლარს, ხოლო საშუალო ბიზნეს გრანტების კონკურსში - 150,000 ლარს.

ფიზიკურმა პირმა შეიძლება შეავსოს დამწყები ბიზნესის ფორმა?

დიახ, დამწყები ბიზნესის ფორმას ავსებს ნებისმიერი ის განმცხადებელი, რომელსაც ჯერ არ დაუწყია ბიზნესის ოპერირება.

არსებულ საქმიანობის ბრუნვა გულისხმობს წლიურ ბრუნვას თუ ორი წლის ჯამურ ბრუნვას?

იურიდიული პირის შემთხვევაში წლიურ ბრუნვასთან დაკავშირებული შეზღუდვა გულისხმობს წლიურ ბრუნვას და პირობა უნდა იყოს დაკმაყოფილებული უკანასკნელი 2 წლისთვის, ანუ არც 2022 და არც 2023 წელს წლიური ბრუნვა არ უნდა სცდებოდეს დადგენილ ზღვარს.

თუ დარეგიტრირებულები ვართ როგორც იურიდიული პირი, მაგრამ ჯერ არ დაგვიწყია ბიზნესი და პროცესშია; შესაბამისად ჯერ ბრუნვა არ გვაქვს. ამ შემთხვევაში რა ხდება, შეგვიძლია თუ არა ჩვეულებრივ მონაწილეობის მიღება?

დიახ, მონაწილეობა საგრანტო კონკურსში შეუძლია ისეთ იურიდიულ პირსაც, რომელსაც ჯერ საქმიანობა არ დაუწყია და ბრუნვა არ აქვს.

თუ აღარ ფლობს ფიზიკური პირი მიწას და გრანტის ფარგლებში პირადი სახსრებით სურს მიწის შეძენა და შემდეგ ბიზნეს იდეის განხორციელება.

საგრანტო კონკურსის პირობების მიხედვით დაუშვებელია უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) შეძენა როგორც გრანტის, ასევე თანამონაწილეობის თანხებით.

საკუთარ თანამონაწილეობაში თუ შეიძლება გათვალისწინებული იყოს მშენებლობა საკუთარი ხარჯებით?

მშენებლობა, თუ ის ბიზნეს პროექტის ნაწილია, დასაშვებია საგრანტო კონკურსის პირობებით და მნიშვნელობა არ აქვს ის ფინანსდება თანამონაწილეობიდან, თუ გრანტის სახით მიღებული თანხიდან.

კოოპერატივს თუ შეუძლია მიიღოს კონკურსში მონაწილეობა?

დიახ, კოოპერატივს შეუძლია ბიზნეს გრანტების კონკურსში მონაწილეობა.

საოჯახო სასტუმროს დაფინანსებას თუ მოიცავს საგრანტო კონკურსი?

ტურიზმი წარმოადგენს საგრანტო კონკურსის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორს. შესაბამისად, შესაძლებელია საოჯახო ტიპის სასტუმროს დაფინანსება, თუ განაცხადი შერჩეული იქნება.

მჭიდრო ფიზიკური კავშირი რეგიონთან რა ფაქტებით დგინდება?

მჭიდრო ფიზიკური კავშირის დასაბუთების წარმოდგენა განმცხადებელს შეუძლია განაცხადის ფორმაში მოცემული შესაბამისი ველით. ეს სავალდებულოდ ადგილზე მუდმივად ცხოვრების ან რეგისტრაციის ფაქტს არ მოიაზრებს და საშუალებას აძლევს ისეთ პირებს, რომლებიც აღარ ცხოვრობენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, თუმცა ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირს მხარესთან ან/და მის რომელიმე მუნიციპალიტეტთან, მონაწილეობა მიიღონ საგრანტო კონკურსში. დასაბუთებაში ნათლად უნდა იკითხებოდეს განმცხადებლის ინტერესი, წვლილი შეიტანოს ადგილობრივი განვითარების პროცესში.

ალკოჰოლური (არაყი) ნაწარმის წარმოება თუ ფინანსდება?

საგრანტო კონკურსში აკრძალვა ალკოჰოლური პროდუქციის წარმოებაზე არ არის, თუმცა, განაცხადის მომზადებისას გასათვალისწინებელია საგრანტო კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებები.

მეცხოველეობის საკვების წარმოება და ვერმიკულტურა თუ დაფინანსდება?

საგრანტო კონკურსის ერთ-ერთ პრირიტეტულ სექტორს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. შესაბამისად, თუ განაცხადი შერჩეული იქნება შემფასებელი კომისიის მიერ, შესაძლებელია მსგავსი ბიზნეს პროექტის დაფინანსება.

ნაგებობის აშენება თუ დაფინანსდება?

ნაგებობის აშენების დაფინანსება შესაძლებელია, თუმცა გასათვალისწინებელია ნაგებობასთან დაკავშირებული ნებართვის საკითხები და პროექტის განხორციელების ვადა, რომელიც შეადგენს მაქსიმუმ 8 თვეს.

თითოეულ მუნიციპალიტეტზე რამდენია საგრანტო ქვოტა?

ქვოტები მუნიციპალიტეტების მიხედვით არ არის გათვალისწინებული. თუმცა იმედი გვაქვს, ყველა მუნიციპალიტეტიდან მოხდება ხარისხიანი ბიზნეს პროექტების წარმოდგენა.

უშუალოდ მიწის მესაკუთრე ავსებს განაცხადს თუ შვილმაც შეიძლება შეავსოს?

განაცხადი უნდა წარმოადგინოს ბიზნეს პროექტის განმახორციელებელმა. სავალდებულოა, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებდეს განმცხადებელთან დაკავშირებულ პირობებს, ხოლო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოყენებული იქნება ბიზნეს პროექტის განსახორციელებლად, წარმოდგენილი უნდა იყოს საგრანტო კონკურსის განცხადებაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

თანამონაწილეობა ფულადი უნდა იყოს?

დიახ, თანამონაწილეობა აუცილებლად ფულადი სახით უნდა იყოს, რომელიც პროექტის ფარგლებში დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად დაიხარჯება გრანტის თანხასთან ერთად.

თუ მიწა მაქვს რამდენად ითვლება თანამონაწილეობად?

საგრანტო კონკურსის პირობებით უკვე საკუთრებაში არსებული მიწა ან/და სხვა რაიმე უძრავ/მოძრავი ნივთი თანამონაწილეობად არ ითვლება. თანამონაწილეობა აუცილებლად ფულადი სახით უნდა იყოს და ამასთანავე, თანამონაწილეობად ჩაითვლება მხოლოდ ის თანხა, რომელიც საგრანტო ელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაიხარჯა ბიზნეს პროექტის განსახორციელებლად წარმოდგენილი ბიუჯეტის შესაბამისად.

ხელმოწერა ელექტრონული უნდა იყოს თუ ამობეჭდილზე შეიძლება მოვაწეროთ და მერე დავასკანეროთ?

მნიშვნელობა არ აქვს ხელმოწერა რა ფორმით იქნება წარმოდგენილი. შესაბამისად, განმცხადებელს შეუძლია ელექტრონულად მოაწეროს ხელი განაცხადს, ან ამობეჭდოს, მოაწეროს ხელი და შემდეგ დაასკანეროს.

ვინ ჩაურიცხავს თანხას მომწოდებელს ამა თუ იმ დანადგარების შესყიდვის შემთხვევაში?

ეს საკითხი დონორსა და განმცხადებელს შორის მოლაპარაკების საგანია და მის შესახებ შესაბამის განმცხადებელთან შეთანხმება მოხდება საგრანტო ელშეკრულების გაფორმების ეტაპზე.

რამდენად დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი სამშენებლო მასალების ხარჯთაღრიცხვა, ინვოისებით თუ ჯამური თანხა, როგორ მოხდება საგრანტო თანხის ჩარიცხვა, ერთიანად თუ ტრანშებად, რომ ხელი არ შეგვეშალოს ჩარიცხვის დაგვიანების გამო?

ხარჯთაღრიცხვა ისეთი დეტალიზაციით უნდა იყოს წარმოდგენილი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს შემფასებლებს, არსებითად იმსჯელონ ბიუჯეტზე და მის შესაბამისობაზე ბიზნეს გეგმაში წარმოდგენილ იდეასთან. საგრანტო თანხის ჩარიცხვა მოხდება ტრანშებად და სწორედ იმიტომ მოეთხოვებათ განმცხადებლებს პროექტის განხორციელების გეგმის შევსება, რომ ტრანშები იყოს სწორად გადანაწილებული. ამასთანავე, ტრანშების ჩარიცხვას შესაძლოა, წინ უსწრებდეს მონიტორინგი, რაც განხორციელდება ოპერატიულად, რომ არ შეფერხდეს პროექტის განხორციელება.

საგრანტო თანხიდან შეიძლება თუ არა მუშა-ხელის ხარჯების უზრუნველყოფა?

თუ მუშა-ხელის ხარჯები აუცილებელია ძირითადი საშუალების შექმნისთვის, შესაძლებელია ეს ხარჯი გათვალისწინებული იყოს ბიუჯეტში. თუ მუშა-ხელი მოიაზრება ბიზნესის ფუნქციონირებისთვის (ოპერირებისთვის), ამ შემთხვევაში არ შეიძლება მისი გათვალისწინება ბიუჯეტში.

დავუშვათ საწარმო ჯდება პრიორიტეტებში (რომელსაც ჩვენი ხარჯებით უზრუნველვყოფთ, მშენებლობის პროცესშია), თუ დაფინანსდება მზის პანელების მოწყობა?

შესაძლებელია მზის პანელების მოწყობის დაფინანსება, თუ ის გავლენას ახდენს ბიზნესის საქმიანობასა და შედეგებზე.

კოოპერატივს წარმოვადგენთ და 300 000 ბრუნვა ვერ გვექნება, ახლა ვიწყებთ და ამ შემთხვევაში რა ხდება?

ბრუნვასთან დაკავშირებული მოთხოვნა განსხვავდება საშუალო და მსხვილი ბიზნეს გრანტების კონკურსისთვის. ამასთანავე, წარმოდგენილი შეზღუდვა არის ზედა ზღვარი, რაც ნიშნავს, რომ მოცემულ ბრუნვაზე მეტის მქონე ბიზნესები საგრანტო კონკურსში არ დაიშვებიან, ხოლო იმ ბიზნესებს, ვისაც ბრუნვა აქვთ უფრო ნაკლები არ არიან შეზღუდულები.

მშენებლობის დროს თუ მაქვს უფლება სამშენებლო კომპანიასთან ხელშეკრულებით ავაშენო შენობა?

დიახ, თუმცა წარმოსადგენი იქნება მშენებლობის დეტალური ხარჯთაღრიცხვა.

ბიზნეს იდეის განხორციელებისთვის კონკურსის პირობებით მოცემულ 8 თვეში ზუსტად რა იგულისხმება, რა უნდა განხორციელდეს ამ ვადაში, ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული სრულად გამართვა თუ ბიზნესის/წარმოების/სხვა სრულად დატვირთვა/საწარმო პროცესი (სეზონურობიდან გამომდინარე)?

8-თვიან ვადაში საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება შესრულებული უნდა იყოს განმახორციელებლის მიერ - ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული ბიზნესის გამართვას, ისე, რომ ბიზნესს ოპერირების დაწყება უკვე შეეძლოს, ხოლო სადაც შესაძლებელია - მათ შორის ოპერირების დაწყებას.

ი/მ ვარ ერთი წელია, ბრუნვა არ მიჩანს და შემიძლია თუ არა მივიღო მონაწილეობა?

თუ თქვენ ბრუნვა არ გქონიათ აქამდე, დიახ, შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება. ბრუნვასთან დაკავშირებული შეზღუდვა მოიაზრებს იმ განმცხადებლებისთვის ბრუნვის ზედა ზღვარის დადგენას, ვისაც საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ.

თუ დაფინანსდება ისეთი იდეა რომლის რეალიზებაც დამოკიდებულია ადგილობრივ თვითმმართველობიდან ან შესაბამისი უწყების მხრიდან ნებართვის გაცემაზე? მაგალითად რაიმე ისეთი ტურისტული ბიზნესი რომელიც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო საკუთრების მიწაზე.

დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნებართვა წინასწარ არსებობს.

მაინტერესებს თუ ბიზნეს იდეა უკვე დაფინანსებულია სხვა დამფინანსებლის მიერ როგორც სტარტაპი, შესაძლებელია საგრანტო ფორმის შევსება?

შესაძლებელია, თუ მიმდინარე საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადი შეეხება არსებული ბიზნესის გაფართოებას. დაუშვებელია საქმის ზუსტად იმ ნაწილისთვის გრანტის მოთხოვნა, რაც უკვე დაფინანსებულია სხვა წყაროდან.

ტურიზმის სფეროში თუ შესაძლებელია ავტოტრანსპორტის და კვადროციკლების შეძენა?

საგრანტო კონკურსის პირობების მიხედვით დასაშვებია მხოლოდ სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალების შეძენა, თუ მისი საჭიროება დასაბუთებულია ბიზნეს პროექტით.

თუ სასტუმროს მშენებლობას გადავწყვეტ, თუ შეგიძლიათ მითხრათ, რამდენი ოთახი, სველი წერტილი და ა.შ. უნდა მოვაწყო? ამას პროექტიც ხომ სჭირდება და პროექტის თანხა თუ შეიძლება შევიტანოთ?

მსგავსი მოთხოვნები წინასწარ არ არის დადგენილი და დამოკიდებულია მთლიან ბიზნეს გეგმაზე. რაც შეეხება მშენებლობის პროექტის მომზადების ხარჯს, მისი შეტანა ბიუჯეტში შესაძლებელია, თუმცა ამასთანავე გაითვალისწინეთ პროექტის განხორციელებისთვის განმცხადებელს ეძლევა მაქსიმუმ 8 თვე ხელშეკრულების გაფორმებიდან.

მასწავლებელს თუ აქვს მონაწილეობის უფლება?

მასწავლებელს აქვს მონაწილეობის უფლება, თუ პირი იმავდროულად არ ჯდება იმ განმცხადებელთა კატეგორიაში, რომლებსაც არ აქვთ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება. გთხოვთ, იხილეთ საგრანტო კონკურსის განცხადება, სადაც ჩამოთვლილია იმ პირთა კატეგორიები, ვისაც არ აქვთ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება.

ემიგრანტს თუ შეუძლია მონაწილეობის მიღება?

გთხოვთ, გაეცნოთ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობებს.

ნებისმიერი მშენებლობის დროს თუ არის აუცილებელი პროექტი და პროექტის გაკეთების დრო თუ იქნება გათვალისწინებული?

მშენებლობასთან დაკავშირებული პროექტის არსებობა სავალდებულოა. რაც შეეხება ვადებს, 8-თვიანი ვადა გათვალისწინებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან, რაც გადავადებას არ ექვემდებარება.

ცხენები გვყავს, სხვა და სხვა საცხენოსნო ტურებს ვაკეთებთ დათუ არის შესაძლებელი მათი სადგომის მშენებლობა?

მშენებლობა, რომელიც ბიზნეს საქმიანობის შედეგებს გააუმჯობესებს დასაშვებია საგრანტო კონკურსით, თუ მისი განხოციელება მაქსიმუმ 8 თვეშია შესაძლებელი.

რამდენად არის შესაძლებელი რომ ერთდროულად მივიღოთ მონაწილეობა საშუალო და მცირე საგრანტო კონკურსში? მესმის რომ გამარჯვება მხოლოდ ერთშია შესაძლებელი, მაგრამ ორივეში მონაწილეობა და ერთ-ერთში მაინც გამარჯვება თუ არის დაშვებული?

შესაძლებელია, ერთი და იმავე განმცხადებელმა განაცხადი წარმოადგინოს როგორც მსხვილ, ისევე საშუალო ბიზნეს გრანტების კონკურსში. თუმცა, შერჩევის შემთხვევაში გამარჯვებულად შესაძლებელია მხოლოდ ერთ კონკურსში გამოცხადდეს.

ბიუჯეტის ფორმაში სრული ბიუჯეტი უნდა ჩავშალოთ თუ მხოლოდ მოთხოვნილი გრანტის ფარგლებში?

ბიუჯეტი უნდა იყოს წარმოდგენილი სრულად და მოიცავდეს გრანტის თანხას და თანამონაწილეობას.

ველოსიპედების შეძენა და მისი გაქირავება სეზონზე თუ შეიძლება ჩაითვალოს ინოვაციად ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. თუ შეიძლება შედიოდეს პრიორიტეტების მესამე სექტორში?

კონკრეტულ ბიზნეს პროექტის შინაარსობრივ ნაწილზე კონსულტაციის გაწევა არ არის გათვალისწინებული საგრანტო კონკურსის პირობებით. წარმოადგენს თუ არა ბიზნეს პროექტი ინოვაციას და რატომ თვლის ამას ინოვაციად განმცხადებელი ნათლად უნდა იკითხებოდეს წარმოდგენილ ბიზნეს გეგმაში.

ჩვენი ძალებით რომ განვახორციელოთ გარკვეული აქტივობა, რომელიც პროექტის განხორციელების გეგმაში რაც შედის, ეს თანადაფინანსებაში შედის?

თანადაფინანსება აუცილებლად უნდა იყოს ფულადი სახით და ხმარდებოდეს ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას.

საოჯახო სასტუმროს შემთხვევაში უძრავიქონება აუცილებლად ჩემ სახელზე უნდა იყოს? დედის სახელზეა და ასეთ დროს გადმოვიფორმო თუ დედამ უნდა წარადგინოს პროექტი?

განმცხადებელი აუცილებლად უნდა იყოს ის პირი, ვინც ბიზნეს პროექტის განხორციელებას გეგმავს. რაც შეეხება უძრავ ქონებას, სავალდებულო არ არის, რომ ის იყოს განცხადებლის საკუთრება, თუმცა გთხოვთ, გაეცნოთ საგრანტო კონკურსის განცხადებაში უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ პირობებსა და წარმოსადგენ დოკუმენტებს.

სატრანსპორტო საშუალებების დაფინანსება თუ ხდება?

დასაშვებია მხოლოდ სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალებების დაფინანსება, რომელიც ბიზნესისთვის არის აუცილებელი.

ხის ავეჯის და ნაკეთობების წარმოებას და გაფართოებას თუ ეხება ეს პროექტი(მინდა შენობის გადიდება,დანადგარების შეძენა ,ნაკეთობის ხარისხის გაზრდა, და ა.შ...)?

საგრანტო კონკურსის ფარგლებში არ არის მოაზრებული ბიზნეს იდეის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებული კონსულტაციის გაწევა. თუ თქვენი ბიზნეს პროექტი ჯდება პრიორიტეტული მიმართულებებიდან ერთ-ერთში მაინც, შეგიძლიათ განაცხადის წარმოდგენა.

საბანკო ვალდებულება წარმოადგენს თუ არა შემაფერხებელ გარემოებას საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის?

საბანკო ვალდებულება არ წარმოადგენს შემაფერხებელ გარემოებას, თუ პირი არ ირიცხება მოვალეთა რეესტრში. საგადასახადო დავალიანება წარმოადგენს შემაფერხებელ გარემოებას და განმცხადებელს არ უნდა ერიცხებოდეს საგადასახადო დავალიანება განაცხადის წარმოდგენის მომენტისთვის.

გვაქვს ფერმა, მაგრამ ხელისშემშლელია გზა, რომელიც დაახლოებით 100 მეტრია და თუ არის შესაძლებელია ამ მონაკვეთის გაკეთება შევიდეს პროექტში?

ისეთი ინფრასტრუქტურის მშენებლობა/მოწყობა/შეკეთება, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივი ან/და ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობას არ შეიძლება, დაფინანსდეს საგრანტო კონკურსის ფარგლებში.

ჯარიმა თუ უშლის ხელს პროექტში მონაწილეობაში?

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორები დეტალურად არის მოცემული საგრანტო კონკურსის განცხადებაში. გთხოვთ, გაეცნოთ პირობებს დეტალურად.

როდის გამოვლინდება გამარჯვებული?

საგრანტო კონკურსის შედეგების გამოცხადება მოსალოდნელია 2025 წლის მარტის მეორე ნახევარში.

განათლების მიმართულებით თუ ფინანსდება?

ბიზნეს გრანტების კონკურსის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ კომერციული ტიპის პროექტები, რომლებიც ჯდება საგრანტო კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებებიდან ერთ-ერთში მაინც.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი მაქვს, ფიტნეს დარბაზი და ფიზიოთერაპიის კაბინეტი, გაფართოებაზე თუ შემიძლია განაცხადი გავაკეთო სპორტული დანადგარების და სამედიცინო აპარატურის შესაძენად?

დიახ, შეგიძლიათ, თუ თქვენი ბიზნეს პროექტი ჯდება საგრანტო კონკურსის პრიორიტეტულ მიმართულებებში.

მაინტერესებს უძრავ ქონებას თუ აქვს საბანკო ვალდებულება/იპოთეკა ეს არის თუ არა შეზღუდვა?

უძრავ ქონებაზე არსებული საბანკო ვალდებულება/იპოთეკა არ წარმოადგენს შემზღუდავ ფაქტორს.

ჩვენს შემთხვევაში ბიზნესი არის 2 წლის, ამ ეტაპზე წლიური ბრუნვა არ არის 300 000. მაგრამ ინვესტიცია ამ ობიექტში შეადგენს დაახლოებით 300 000 ლარს. მაინტერესებს ქვიშის ფრენბურთის მოედანის გაკეთება რამდენად გადის ძირითად საშუალებებში?

ნებისმიერი აქტივი, რომელიც ერთ წელზე მეტი ვადით გამოიყენება ბიზნესის ფუნქციონირებისთვის წარმოადგენს ძირითად საშუალებას.

ალპანაში გვაქვს საცურაო აუზი, 3 წლის პერიოდში ვაკეთებდით და ძირითადი ინვესტირება გაკეთებულია. თუმცა ჯერ წლიური ბრუნვა არ გვაქვს. მაგრამ საკმაოდ მზარდია. წლიური ბრუნვაში რას მოვიაზრებთ? ჩვენი ჩადებული კაპიტალი თუ შეიძლება ბრუნვაში მოვიაზროთ?

ბრუნვაში მოიაზრება შემოსავალი, რომელიც ბიზნესმა მიიღო პროდუქციის/მომსახურების გაყიდვიდან. შესაბამისად, ჩადებული კაპიტალი არ წარმოადგენს ბრუნვის ნაწილს.

8 თვიანი პერიოდი რომელი თვიდან იწყება, ათვლა საიდან ხდება?

იმ მაქსიმუმ 8-თვიანი პერიოდის ათვლა, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს პროექტი, იწყება საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებიდან, რაც მოსალოდნელია 2025 წლის აპრილის თვეში.

რამდენი განაცხადის უფლება აქვს ერთ პირს?

ერთ განმცხადებელს, მათ შორის ერთ შინამეურნეობას (ერთ ოჯახს) მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენის უფლება აქვს.

თუკი ვერ გაიმარჯვებს პროექტი, რამდენად შესაძლებელია იმ კრიტერიუმების გაგება, რომელიც ვერ დავაკმაყოფილეთ?

ყველა განმცხადებელი, შედეგის მიუხედავად, მიიღებს პასუხს მიღებულ ქულებთან ერთად.

გვაქვს კოტეჯი, თუმცა შოვის ტრაგედიის გამო ეღარ მოხერხდა მისი ტურისტებით დატვირთვა, თუმცა მაქვს სურვილი რომ გავაფართოვო საქმიანობა, დავამატო კვების ობიექტი. როგორ ჯობია, არსებულ ბიზნესის გაფართოებაზე შემოვიტანო თუ ოჯახის წევრმა ახალი ბიზნესის დაწყებაზე შემოიტანოს. მიწა მაქვს ბებოსგან იჯარით აღებული და თუ შეიძლება იგივე მიწაზე ჩემმა ძმამ შემოიტანოს სხვა ბიზნესზე?

განმცხადებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რა ფორმით სურს განაცხადის წარმოდგენა. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ ერთ პირს, მათ შორის ერთ შინამეურნეობას (ოჯახს) მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენის უფლება აქვს.

ვფლობ შენობას, სადაც ვაპირებთ ლორის წარმოებას და ასევე სადეგუსტაციო სივრცის მოწყობას და რომელ ბიზნეს სექტორში გავდივარ? როგორც გადამუშავება თუ როგორც ტურისტულ აგრონომიული სივრცე? ამ შემთხვევაში ერთ პროექტად უნდა შემოვიტანოთ თუ ორივეს ვაკმაყოფლებთ თუ ორი განაცხადი უნდა შემოვიტანოთ? კოსულტანტი დაგვჭირდება აუცილებლად თუ არის შესაძლებელი ამ პროექტიდან ან ჩვენი თანადაფინასებიდან გადავიხადოთ ეს თანხა?

საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადი უნდა ჯდებოდეს საგრანტო კონკურსის პირობებით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებებიდან ერთ-ერთში მაინც. თუმცა, შესაძლებელია განაცხადი რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებაში ერთდროულად ჯდებოდეს და ყველა შესაბამისი მიმართულება უნდა იყოს მონიშნული. რაც შეეხება განაცხადის ცალ-ცალკე თუ ერთ პროექტად შემოტანის საკითხს, ერთ განმცხადებელს (მათ შორის ერთ შინამეურნეობას) შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენა და ამიტომ, განაცხადი ერთ პროექტად უნდა იყოს წარმოდგენილი. კონსულტანტთან დაკავშირებით, თუ კონსულტანტი გაწვდით ძირითადი საშუალების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ცოდნა-გამოცდილებას და მისი ღირებულება შესულია ძირითადი საშუალების ღირებულებაში, მსგავს შემთხვევაში დასაშვებია მისი გათვალისიწნება ბიუჯეტში. სხვა შემთხვევაში კონსულტანტის ხარჯი იქნება დაუშვებელი.

გლოლაში მაქვს საკალმახე და მინდა რომ გავაფართოვო წარმოება, ასევე მოვიყვანო ბიოლოგიურად სუფთა კალმახი, 8 თვიან ვადაში რა იგულისხმება მეურნეობის მოწყობა თუ უკვე წარმოების დაწყება? დასრულებულად რომ ჩაითვალოს პროექტი, რა მოაზრება სამუშაოების ჩატარება და დასრულება თუ უკვე ბიოლოგიურად სუფთა კალმახის გაზრდა და პროდუქციის მიღება.საინჟინრო მასალების შესყიდვა და მონტაჟის ხარჯების (ტრაქტორების მომსახურება) დაფინანსება რამდენად შეიძლება საგრანტო თანხიდან? შემიძლია თუ არა ბუნებრივი მდინარის ქვის შეძენა (რომლითაც მინდა აუზების მოწყობა) და მუშახელის დაქირავება თუ დაფინანსდება?

8 თვიან ვადაში იგულისხმება, რომ საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებელი უნდა იყოს მაქსიმუმ 8 თვეში და იმავდროულად, საგრანტო კონკურსის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით შესაძლებელი უნდა იყოს ბიზნესის ოპერირების/გაფართოებული წარმოების დაწყება. რაც შეეხება საინჟინრო ხარჯებსა და კონკრეტული მასალის შესყიდვას, მნიშვნელობა არ აქვს რა მასალის შესყიდვა მოხდება, მთავარია, ძირითადი საშუალების შეძენა/შექმნას ემსახრებოდეს ის.